

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5–34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარა.ქომის“ მესაკუთრეს და ხელმძღვანელობას

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარა.ქომის“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისაგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა საკითხები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. ხსენებული ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორმა ჩაატარა, რომელმაც მასზე გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა 2024 წლის 3 დეკემბერს.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ არსებობს ამ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობა, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამგვარი ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 26 სექტემბერი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 26 სექტემბერი

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023*	1/1/2023*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	4,314	5,443	5,322
აქტივების გამოყენების უფლება	13	1,324	7,564	8,572
არამატერიალური აქტივები	14	322	–	–
ლიცენზიაში გადახდილი ავანსი	15	23,580	35,370	58,949
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,540	48,377	72,843
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		65	143	69
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	26,863	19,166	6,521
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	761	352	359
გაცემული სესხები		90	–	–
სულ მოკლევადიანი აქტივები		27,779	19,661	6,949
სულ აქტივები		57,319	68,038	79,792
საკუთარი კაპიტალი				
გამოშვებული კაპიტალი	18	104,697	103,115	92,952
დაგროვილი ზარალი		(66,834)	(57,146)	(32,037)
სულ საკუთარი კაპიტალი		37,863	45,969	60,915
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	19	–	178	–
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	20	1,148	6,228	6,964
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,148	6,406	6,964
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	19	11,052	5,314	5,182
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	20	259	1,186	1,140
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	6,545	8,623	5,421
საგადასახადო ვალდებულებები		452	541	170
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		18,308	15,664	11,913
სულ ვალდებულებები		19,456	22,070	18,877
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		57,319	68,039	79,792

რამდენიმე წარდგენილი თანხა არ შეესაბამება 2023 წლისა და 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 5-34 გვერდებზე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები მომსახურებებიდან	6	39,797	35,868
ფინანსური გარანტიის შემოსავალი		830	706
სულ ამონაგები		40,627	36,574
ცვეთა და ამორტიზაცია	13,14,19	(2,502)	(3,445)
დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯები	7	(20,572)	(17,465)
გაუფასურების (ზარალი)/აღდგენა არამატერიალურ აქტივებზე	14	283	(486)
გაუფასურების ზარალი გადახდილ ავანსებზე	15	(11,790)	(23,580)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	8	(5,429)	(7,215)
კონტენტის დანახარჯები	9	(3,409)	(3,336)
საიჯარო ხარჯები		(416)	(292)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(5,253)	(4,081)
შემოსულობა/(ზარალი) იჯარის მოდიფიცირებაზე		206	–
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(8,255)	(23,326)
ფინანსური დანახარჯები	11	(2,008)	(1,612)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		287	(171)
წმინდა ფინანსური დანახარჯები		(1,721)	(1,783)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,976)	(25,109)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(9,976)	(25,109)

*რამდენიმე წარმოდგენილი თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირის მიერ:


 გენერალური დირექტორი
 გიორგი ფრუიძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებითი შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 5-34 გვერდებზე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები მომსახურებებიდან	6	39,797	35,868
ფინანსური გარანტიის შემოსავალი		830	706
სულ ამონაგები		40,627	36,574
ცვეთა და ამორტიზაცია	13,14,19	(2,502)	(3,445)
დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯები	7	(20,572)	(17,465)
გაუფასურების (ზარალი)/აღდგენა არამატერიალურ აქტივებზე	14	283	(486)
გაუფასურების ზარალი გადახდილ ავანსებზე	15	(11,790)	(23,580)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	8	(5,429)	(7,215)
კონტენტის დანახარჯები	9	(3,409)	(3,336)
საიჯარო ხარჯები		(416)	(292)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(5,253)	(4,081)
შემოსულობა/(ზარალი) იჯარის მოდიფიცირებაზე		206	–
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(8,255)	(23,326)
ფინანსური დანახარჯები	11	(2,008)	(1,612)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		287	(171)
წმინდა ფინანსური დანახარჯები		(1,721)	(1,783)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,976)	(25,109)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(9,976)	(25,109)

*რამდენიმე წარმოდგენილი თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი
გიორგი ფრუიძე

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 5-34 გვერდებზე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	გამოშვებული კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
’000 ლარი				
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით *		92,952	(32,037)	60,915
გამოშვებული კაპიტალის ზრდა	18	10,163	–	10,163
წლის ზარალი		–	(25,109)	(25,109)
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი		–	(25,109)	(25,109)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს *		103,115	(57,146)	45,969
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		103,115	(57,146)	45,969
გამოშვებული კაპიტალის ზრდა	18	1,582	–	1,582
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება	22	–	288	288
წლის ზარალი		–	(9,976)	(9,976)
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი		–	(9,976)	(9,976)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		104,697	(66,834)	37,863

*რამდენიმე წარდგენილი თანხა არ შეესაბამება 2023 წლისა და 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 5-34 გვერდებზე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მომხმარებლებისგან ნაღდი ფორმით მიღებული ფულადი სახსრები		31,401	23,945
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(15,048)	(12,025)
დასაქმებულ პირებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(14,817)	(12,552)
გადახდილი გადასახადები		(5,070)	(3,495)
გადახდილი პროცენტი	11,19,20	(1,976)	(1,680)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(5,510)	(5,807)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(332)	(2,408)
არამატერიალური აქტივების შეძენა		–	(1,141)
შვილობილი საწარმოების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით	22	8	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(324)	(3,549)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	19	5,713	536
ნასესხები სახსრების დაფარვა	19	–	(348)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	20	(859)	(645)
ხელმოწერილი კაპიტალის ზრდა	18	1,582	10,162
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		6,436	9,705
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		602	349
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	352	359
ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, წმინდა		(193)	(356)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	761	352

*რამდენიმე წარმოდგენილი თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 5-34 გვერდებზე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „აჭარა.ქომის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ცალკე – „ჯგუფის საწარმოები“) ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ის 2019 წლის 31 ივლისს დაფუძნდა. კომპანიის შვილობილი საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა №14, ხოლო მისი საიდენტიფიკაციო კოდია 404582055.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სატელევიზიო პროგრამების შექმნა, სპეციალური სპორტული ღონისძიებების გაშუქება და სამაუწყებლო კომპანიებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა. ჯგუფი ახდენს სპორტული ღონისძიებების და პროგრამების მაუწყებლობას ვებგვერდებზე: www.adjara.com და www.setanta.ge და არხებით Setanta Sports 1, Setanta Sports 2 და Setanta Sports 3. მაუწყებლობა მოიცავს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც არის ფეხბურთის ლიგები (ინგლისის პრემიერ ლიგა, გერმანიის ბუნდესლიგა და სხვ.), ჩოგბურთის ტურნირები, აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატი (UFC), ასევე შოუები, რომლებსაც ჯგუფი იღებს ახალი ღონისძიებების და ახალი ამბების პროვაიდერების სამაუწყებლო ლიცენზიებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელი იყო თბილისში (საქართველო) რეგისტრირებული კომპანია შპს „ფი ეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 404694121) (2023 წ.: შპს „სითი ლოფტი“) (შემდგომში „მშობელი საწარმო“), ხოლო საბოლოო მფლობელი – ფიზიკური პირი თეიმურაზ უგულავა. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაშია მოცემული. 2024 წლის 1 მარტს შპს „ფი ეი ჰოლდინგმა“ შეიძინა „აჭარა.ქომ“, საბოლოო მფლობელის ცვლილების გარეშე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

პირდაპირი შვილობილი საწარმო	ძირითადი საქმიანობა	მფლობელობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მფლობელობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შპს „აჭარასპორტ.ტვ“ (404583786)	სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი და პროვაიდერი	100%	100%
შპს „სეტანტა.ნეტ“ (404744176)*	აქტიური ოპერაციები არ აქვს	100%	–
შპს „მერკური ტექ ცენტრი“ (405631749)**	ტექნიკური სერვისები	100%	–

* შპს „სეტანტა.ნეტ“ ფლობს 100%-იან წილს შპს „სეტანტა ზოუნსა“ (ს/კ: 404747066) და შპს „სეტანტა ლაბში“ (ს/კ: 404747057). ამ კომპანიებსაც 2024 წელს არ ჰქონიათ აქტიური ოპერაციები.

** ჯგუფმა შეიძინა შპს „მერკური ტექ ცენტრი“ (405631749) 2024 წლის 5 ნოემბერს (22-ე შენიშვნა).

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ბ) ბიზნესგარემო (გაგრძელება)

ჯგუფის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თვისებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის სამხედრო კონფლიქტის გამო, რამდენიმე ქვეყანამ სანქციები დააწესა რუსეთის ფედერაციაზე. კონფლიქტი მოქმედებს როგორც ამ ორი ქვეყნის, ასევე გლობალურ ეკონომიკაზე. ჯგუფი გეგმავდა უკრაინაში ფუნქციონირების დაწყებას, რისთვისაც რამდენიმე წლით ადრე შეიძინა სამაუწყებლო ლიცენზია. ომის გამო, ჯგუფმა ვერ დაიწყო უკრაინაში ფუნქციონირება. იხილეთ მე-15 შენიშვნა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

(ა) განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფი არ სარგებლობს გათავისუფლების უფლებით, რომელიც ნებადართული ან მოთხოვნილია ფასს (IFRS) 1-ით („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“). კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. კომპანიამ წინა პერიოდების, მათ შორის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მსს ფასს სტანდარტის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესაბამისად. ფასს-ზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

2024 და 2023 წლებში კომპანიამ შესაბამისად ჰქონდა 9,976 ათასი ლარის და 25,109 ათასი ლარის ზარალი. ჯგუფის ზარალი მეტწილად ავანსების ჩამოწერით იყო გამოწვეული (მე-15 შენიშვნა). ჩამოწერის გამოკლებით, 2024 წელს ჯგუფმა 1,814 ათასი ლარის ოდენობით მოგება მიიღო. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანმა აქტივებმა მის მოკლევადიან ვალდებულებებს 9,471 ლარით გადააჭარბა.

ჯგუფის დაფინანსების უმრავლესობა არა დაკავშირებული საფინანსო დაწესებულებებისგან მოდის – 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების 10,867 ათასი ლარი ორი საფინანსო დაწესებულების მიმართ იყო. 2025 წლის განმავლობაში ამ სესხების ვადა 2030 წლამდე გახანგრძლივდა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მოელის, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს საფინანსო დაწესებულებები ჯგუფს დამატებითი დაფინანსებით უზრუნველყოფენ.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი (გაგრძელება)

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობამ დეტალურად შეაფასა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში ჯგუფის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი. ეს შეფასება მოიცავდა როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ ფაქტორებს, მათ შორის ფულადი ნაკადების პროგნოზებს, ხელშეკრულების განახლებებს, დაფინანსების გარიგებებს და ინდუსტრიაზე მოქმედ ზოგად ეკონომიკურ გარემოს. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომელსაც ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს შემდეგი მიზეზების გამო:

- ▶ ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში საბოლოო მფლობელი უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. 2023 და 2024 წლებში მშობელი საწარმო ახორციელებდა ნაღდი ფულის შენატანებს ჯგუფის გამოშვებულ კაპიტალში (მე-18 შენიშვნა). შემდგომ 2025 წლის პერიოდში მშობელმა საწარმომ ჯგუფის გამოშვებულ კაპიტალში 4,975 ათასი ლარის შენატანი განახორციელა (26-ე შენიშვნა);
- ▶ 2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულებები სარეკლამო მომსახურების წამყვან პროვაიდერებთან, რომელთა სახელშეკრულებო ამონაგებმაც დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარი (დაახლოებით 8 მილიონი ლარი) შეადგინა. ამასთან, ჯგუფმა გააგრძელა სამაუწყებლო ქსელის მომსახურებებთან და ტექნიკურ და მარკეტინგულ მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, მთლიანი სახელშეკრულებო ამონაგებით დაახლოებით 11.8 მილიონი აშშ დოლარი (დაახლოებით 32 მილიონი ლარი). ეს ვალდებულებები მუდმივი ამონაგების სანდო წყაროს წარმოადგეს და ასახავს ბაზრის მუდმივ ნდობას ჯგუფის მაყურებელთა ბაზისა და კონტენტ-სტრატეგიის მიმართ;
- ▶ ჯგუფის მთავარი მომხმარებელია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო (EBEL). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა 25,049 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნა ამ საწარმოს მიმართ. ამ თანხიდან 10,422 ათასი ლარი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით არის, თუმცა ვადაგადაცილებული ნაშთი უკავშირდება უფრო დიდი ჯგუფის ნაღდი ფულის მართვის პრაქტიკებს, რომელიც როგორც ჯგუფზე, ისე საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე ვრცელდება;
- ▶ ჯგუფის ბრენდის განვითარების პროცესი სტრატეგიული და გრძელვადიანი ინიციატივაა, რომელიც ასახავს სპორტული ღონისძიებების მაუწყებლობისა და ტექნიკური მომსახურებების ინდუსტრიის უნიკალურ მახასიათებლებს. ტიპიური კომპანიებისგან განსხვავებით, ამ სექტორში ძლიერი ბრენდის დამკვიდრება და ზრდა მოითხოვს გაფართოებულ ვადებს, მრავალ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სპორტულ ფედერაციებს, სამაუწყებლო კომპანიებს, უფლების მფლობელებსა და საბოლოო მაყურებლებს შორის ნდობისა და რეპუტაციის მოპოვების კომპლექსურობის გამო. ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ბრენდის განვითარების ციკლი ამ ინდუსტრიაში არსებითად უფრო ხანგრძლივია და უფრო მეტ რესურსს მოითხოვს, ვიდრე რომელიმე სხვა სექტორში, საჭიროებს უწყვეტ ინვესტიციას და მოთმინებას, ბაზარზე სრული აღიარების მოპოვებამდე.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი (გაგრძელება)

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ამასთან, 2025 წლის განმავლობაში ჯგუფი გეგმავს ამონაგების გენერირების რამდენიმე ახალი საქმიანობის წამოწყებას, როგორც არის:

- ▶ თამაშების ვებგვერდი, ონლაინ კაზინოთი და ტოტალიზატორით;
- ▶ სპორტულ ღონისძიებებზე დასასწრებად მგზავრობისა და პრემიუმ ბილეთების გაყიდვის გამოცდილებას;
- ▶ ციფრული სერვისების პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს eSIM პროფილების დისტანციურად შეძენას, ინსტალაციასა და გააქტიურებას, საბოლოო მომხმარებლებს დაეხმარება მობილური მონაცემების სერვისებზე წვდომაში სხვადასხვა იურისდიქციაში ფიზიკური SIM ბარათების გამოყენების საჭიროების გარეშე. პლატფორმა მობილური აპლიკაციით იმუშავებს.

ამ გზით, ხელმძღვანელობა მიჩნევს, რომ ჯგუფს ექნება სათანადო რაოდენობით სახსრები თავისი ვადადამდგარი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში და შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ხელმძღვანელობა ასევე მიიჩნევს, რომ ადგილი არ აქვთ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს.

(გ) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლის მიღწევა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ექვემდებარება ან აქვს უფლება ცვლად უკუგებაზე ინვესტირებულ საწარმოში ჩართულობით და შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ უკუგებებზე, ინვესტირებულ საწარმოში თავისი უფლებამოსილების საფუძველზე. კონკრეტულად, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, მხოლოდ მაშინ, თუ ჯგუფს:

- ▶ უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოზე (მაგ. არსებული უფლებები, რომლებიც მას ანიჭებს მიმდინარე უნარს წარმართოს შესაბამისი აქტივობები ინვესტირებულ საწარმოში);
- ▶ ცვლად უკუგებაზე დაქვემდებარება და უფლებები ინვესტირებულ საწარმოში თავისი ჩართულობიდან;
- ▶ თავისი უფლებამოსილებით სარგებლობის უნარი ინვესტირებულ საწარმოზე თავის უკუგებაზე ზემოქმედებით.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი (გაგრძელება)

(გ) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. წლის განმავლობაში შეძენილი ან გასული შვილობილი საწარმოს აქტივები, უფლებები, შემოსავალი და ხარჯები შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფი შეიძენს კონტროლს, შვილობილ საწარმოზე ჯგუფის კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი უკავშირდება ჯგუფის მშობელი საწარმოს აქციონერებს და არამაკონტროლებელ წილებს, მაშინაც კი, თუ ეს იწვევს არამაკონტროლებელი წილების დეფიციტურ ნაშთს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება კორექტირდება, სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ყველა ჯგუფს შიდა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც უკავშირდება ოპერაციებს ჯგუფის წევრებს შორის, სრულად ელიმინირდება კონსოლიდირების პროცესში.

შვილობილი საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება, როგორც ოპერაცია საკუთარი კაპიტალით.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, ის წყვეტს დაკავშირებული აქტივების (მათ შორის გუდვილის), ვალდებულებების, არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიცია სამართლიანი ღირებულებით აღიარდება.

(დ) საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება პროცენტის გათვლის მეთოდის გამოყენებით პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული გაერთიანების განხორციელებამდე.

შემძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მაკონტროლებელი მხარის მიერ აღიარებულ, ე.ი. წინა მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ საბალანსო ღირებულებას ეფუძნება და გაერთიანების თარიღში სამართლიანი ღირებულების ასახვად კორექტირებები არ განხორციელებულა.

სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა შემძენილ აქტივებს შორის აღირიცხება საკუთარი კაპიტალის კორექტირების გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანების შედეგად გუდვილი არ აღიარებულა. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს გაერთიანებული მხარეების შედეგებს გაერთიანების თარიღის შემდეგ.

(ე) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტა და ის ვალუტაა, რომელშიც წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა წარდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია ათას ლარშია მოცემული, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა პერიოდთან დაკავშირებით.

(ა) ამონაგები

ჯგუფის ამონაგების მთავარი წყაროა მომხმარებლებისთვის სპონსორობის მომსახურების, სარეკლამო მომსახურების, სამაუწყებლო ქსელის და ტექნიკური და მარკეტინგული მომსახურებების გაწევა. ჯგუფი ყველა ზემოთხსენებული მომსახურებიდან ამონაგებს აღიარებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს მათთვის შეთავაზებულ სარგებელს. ამონაგების აღიარება ყოველთვიურად ხდება, ამ პერიოდისთვის გაცემული ინვოისების საფუძველზე. ინვოისში გაწერილი თანხა ასახავს თვის განმავლობაში გაწეული მომსახურებების ღირებულებას, ხოლო აღიარება მომხმარებლის მიერ ამ მომსახურებების მიღება-ჩაბარებას შეესაბამება.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის მარწმუნებლის სახით მოქმედებს ამონაგების მომტან გარიგებებში, რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

- ▶ საპროცენტო ხარჯს ვალეზა და გარანტიებზე;
- ▶ უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვისთანავე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობისა და ზარალის გაცხადება ნეტო საფუძველზე ხდება ფინანსურ შემოსავლად ან ფინანსურ დანახარჯად, იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის ცვლილების დინამიკა ნეტო შემოსულობის პოზიციაზე, თუ ნეტო ზარალის.

(გ) გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები აღირიცხება უიმედო ვალის ანარიცხით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(დ) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები გადაანგარიშდება ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ ოპერაციის თარიღში გამოქვეყნებული გაცვლითი კურსით.

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება სამუშაო ვალუტაში (ე.ი. ლარში), შესაბამის თარიღში არსებული გაცვლითი კურსით.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთებისა და უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების კონვერტაციისთვის სებ-ის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსები იყო:

	საანგარიშგებო თარიღის სპოტ-კურსი		
	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
აშშ დოლარი	2.8068	2.6894	2.7020
ევრო	2.9306	2.9753	2.8844

(ე) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ყველა ძირითადი საშუალების მუხლი თვითღირებულებით ფასდება, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) ცვეთა

მოგება-ზარალზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე.

სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა	2-8 წელი.
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი.
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	2-8 წელი.
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი.

(ვ) არამატერიალური აქტივები

(iii) აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები, რომლებიც ძირითადად მაუწყებლობის უფლებებს მოიცავს, დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით ფასდება. ჯგუფი მაუწყებლობის უფლებებს აღიარებს კონტროლის მიღების პირველ დღეს.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ვ) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაციის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივები გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, ე.ი. მაშინ, როდესაც მას მიიტანენ გამოსაყენებლად საჭირო ადგილზე ან მოიყვანენ შესაბამის სამუშაო მდგომარეობაში. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ცვეთას დაქვემდებარებული თანხა თანაბრად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდზე. მაუწყებლობის უფლებების ამორტიზაცია ხდება გამოყენების მეთოდის საფუძველზე. კერძოდ, ამორტიზაცია დაანგარიშდება ჩატარებული ფაქტობრივი რაოდენობის/ეტაპების საფუძველზე.

მაუწყებლობის უფლებების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები შეესაბამება ლიცენზიის პერიოდებს, რომლებიც შესაძლოა მერყეობდეს ეთერში ერთჯერადი გასვლიდან მრავალწლიან გარიგებამდე. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს მოსალოდნელი მოხმარების შაბლონს, რათა ამორტიზაცია ასახავდეს აქტივის ეკონომიკური სარგებელს.

არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვანი მუხლების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები მიმდინარე პერიოდისთვის შემდეგია:

მაუწყებლობის უფლებები
სხვა არამატერიალური აქტივები

რაუნდები/ეტაპები.
5–10 წელი

(ზ) ხელმოწერილი კაპიტალი

ხელმოწერილი კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი.

(თ) გაუფასურება

(v) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღში გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მაჩვენებელი. ამგვარი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირებისთვის, აქტივები, რომელთა ინდივიდუალურად ტესტირება შეუძლებელია, ჯგუფდება უწყვეტი გამოყენებიდან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი აქტივების უმცირეს ჯგუფად, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებას და გასაყიდი თვითღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარდება ხდება მაშინ, თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ი) დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა ხდება ბასს (IAS) 12-ის („მოგებიდან გადასახადები“) მიღმა და საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მისაღები ან მისთვის გადასახდელი დღგ-ის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა არ გამოიყენა პრაქტიკული მიდგომა, ფასდება გარიგების ფასით. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები არ მოიცავდა დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშება

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. იქედან გამომდინარე, რომ მოთხოვნების რაოდენობა დიდი არ არის, ჯგუფი ამ კონტრაქტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ინდივიდუალურად აფასებს და ითვალისწინებს ჯგუფისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მათ შორის გადახდების ისტორიას.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები

ჯგუფმა მიიღო გარანტიები ბანკებისგან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს სახელით. ჯგუფს აქვს საბოლოო ვალდებულება ბანკის მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო ვერ შესძლებს ფინანსური ვალდებულებების შესრულებას. ბანკებისთვის ჯგუფის მიერ გადახდილი საზღაურებს ანაზღაურებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო. ჯგუფი ანაზღაურებულ საზღაურებს ფინანსური გარანტიის შემოსავლის სახით აღიარებს. რადგან საზღაურის მიღება მოხდება გარანტიის მოქმედების პერიოდში, საწყისი აღიარებისას მათი სამართლიანი ღირებულება ნულ ღირებულებად ფასდება. ჯგუფის შეფასებით ამ გარანტიების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია ყოველ საანგარიშგებო პერიოდში და არ აღიარებს მათ ბალანსში.

(ლ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა გამქდავენების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შეფასების მეთოდებში გამოყენებულ შემავალ მონაცემებს, ესენია:

- ▶ *დონე 1:* იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- ▶ *დონე 2:* აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) საბაზრო მონაცემები;
- ▶ *დონე 3:* აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შემავალი მონაცემები შესაძლოა დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება მე-3 დონეს უკავშირდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელ დონეს განეკუთვნება.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ასევე ვრცელდება ცვლადგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შესდგება ბანკებში უპროცენტო მიმდინარე ანგარიშებზე ფლობილი ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი მაღალი რისკის მქონე ანაზღაურებადი ანაზღაურებებისგან, სამთვლიანი ან ნაკლები ვადით, რომელთა ფლობის მიზანია მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების დაკმაყოფილება და მარტივად კონვერტირება ნაღდი ფულის ცნობილ თანხად, ღირებულების უმნიშვნელო ცვლილებებით.

(ნ) იჯარები

იჯარების შეფასება და აღიარება, მოიჯარის სახით

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ბალანსში. აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ ნებისმიერ საწყის პირდაპირ დანახარჯებს, აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დანახარჯების შეფასებას, იჯარის ადის ბოლოს და ნებისმიერ საიჯარო გადახდებს, რომლებიც იჯარის ვადის დაწყების თარიღამდე გადაიხდება (მიღებული წამახალისებელი თანხების გამოკლებით).

ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლების ცვეთას აღრიცხავს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის დაწყების თარიღში, აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების და საიჯარო ვადის დასრულების დროს, იქედან გამომდინარე, რომელი უფრო ადრე მოხდება. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლებას გაუფასურებაზე, როდესაც ამგვარი ინდიკატორები არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამ თარიღში გადაუხდელი საიჯარო ვალდებულებების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (თუ ამგვარი განაკვეთი მარტივად ხელმისაწვდომია) ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით.

ჯგუფი აირჩია მოკლევადიანი იჯარების და დაბალფასიანი აქტივების იჯარების აღრიცხვა პრაქტიკული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, მათთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

(ო) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული). ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები – საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები – ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ო) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ბასს (IAS) 1–ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

შესწორებებს გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე და მათ გამჟღავნებაზე.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7–ის და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები

ბასს (IAS) 7–ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7–ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ცვლილებები: მომწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. ცვლილებები განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში. ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე და სხვა განმარტებითი შენიშვნების დამატება არ მომხდარა.

(პ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე და განაგრძობს გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – ცვლილებები ბასს (IAS) 21–ში

2023 წლის აგვისტოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა ცვლილებები ბასს (IAS) 21–ში „*უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ვ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული (გაგრძელება)

ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, თუმცა საჭირო იქნება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“.

(ჟ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1–ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგებისა და ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ–ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების – შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7–ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება–ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება–ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებები.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18–ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის ჯგუფი მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

ქვემოთ მოცემულია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ სტანდარტებს ექნებათ გავლენა ჯგუფზე:

ფასს (IFRS) 19 – შეიღობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ჟ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული (გაგრძელება)

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდე მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

ჯგუფი არ მოელის, რომ ექნება ფასს (IFRS) 19-ის გამოყენების ვალდებულება.

4. მნიშვნელოვანი შეფასებები და განსჯა

შემდეგ შენიშვნებში შესულია ინფორმაცია კრიტიკული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში განსჯის შესახებ, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

- ▶ მე-15 შენიშვნა – ლიცენზიებში გადახდილი ავანსების ამოღებადობის კლასიფიკაცია;
- ▶ 25-ე შენიშვნა – ლიკვიდობის რისკი – კომპანიის შიდა გარანტიები უფრო მსხვილ ჯგუფში;
- ▶ 25-ე შენიშვნა – საკრედიტო რისკი – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ მოთხოვნებზე.

5. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი

როგორც მე-2 შენიშვნაშია განსაზღვრული, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს (IFRS) 1-ის („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“) მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

2023 წლის 31 დეკემბრამდე და ამ თარიღის ჩათვლით პერიოდისთვის, ჯგუფმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად. ფასს-ზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი მოცემულია ქვემოთ.

ეფექტები ცალსახად უკავშირდება საოპერაციო იჯარების აღრიცხვაში მომხდარ ცვლილებებს. მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე საოპერაციო იჯარა არ იყო აღიარებული ბალანსში. თუმცა ფასს (IFRS) 16 მოიჯარეებისგან მოითხოვს აქტივის გამოყენების უფლების და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების აღიარებას საიჯარო გარიგებების უმეტესობისთვის. ამ ცვლილებამ გამოიწვია მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების ზრდა და საიჯარო ხარჯის აღიარების საოპერაციო ხარჯებიდან ცვეთასა და პროცენტში გადანაცვლება.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი (გაგრძელება)

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

2023 წლის 31 დეკემბერი ('000 ლარი)	წინა GAAP	ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	ფასს
აქტივების გამოყენების უფლება	–	7,564	7,564
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,443	7,564	13,007
სულ აქტივები	60,474	7,564	68,038
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	–	6,228	6,228
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	177	6,229	6,406
		–	
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	–	1,186	1,186
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,029	(406)	8,623
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	14,884	780	15,664
		–	
დაგროვილი ზარალი	(57,702)	556	(57,146)
სულ საკუთარი კაპიტალი	45,413	556	45,969

2023 წლის 1 იანვარი ('000 ლარი)	წინა GAAP	ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	ფასს
აქტივების გამოყენების უფლება	–	8,572	8,572
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,322	8,572	13,894
სულ აქტივები	71,220	8,572	79,792
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	–	6,964	6,964
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	–	6,964	6,964
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	–	1,140	1,140
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,815	(394)	5,421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	11,167	746	11,913
დაგროვილი ზარალი	(32,899)	862	(32,037)
სულ საკუთარი კაპიტალი	60,053	862	60,915

ეფექტი კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2023 ('000 ლარი)	წინა GAAP	ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	ფასს
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,437)	(1,008)	(3,445)
საიჯარო ხარჯები	(1,433)	1,141	(292)
ფინანსური დანახარჯები	(1,128)	(484)	(1,612)
საკუთრო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	(216)	45	(171)
ზარალი დაბეგვრამდე	(24,803)	(306)	(25,109)

ეფექტი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი (გაგრძელება)

2023 ('000 ლარი)	წინა GAAP	ფასს-ზე გადასვლის ეფექტი	ფასს
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(13,154)	1,129	(12,025)
გადახდილი პროცენტი	(1,196)	(484)	(1,680)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,452)	645	(5,807)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,549)	–	(3,549)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	–	(645)	(645)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	10,351	(646)	9,705

6. ამონაგები მომსახურებებიდან

'000 ლარი	2024	2023
სარეკლამო მომსახურებები	19,286	18,384
ტექნიკური მხარდაჭერა	12,324	9,574
ამონაგები სამაუწყებლო ქსელის უზრუნველყოფიდან	6,407	6,524
მარკეტინგული მომსახურებები	1,482	1,265
სხვა	298	121
	39,797	35,868

2024 წლის მთლიანი ამონაგებიდან 30,609 ლარი მოდის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე „Eurasian Broadcasting Enterprise Limited (შემდგომში „EBEL“) (2023 წ.: 27,439 ათასი ლარი).

სახელშეკრულებო ნაშთი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 26,568 ათასი ლარის ოდენობით და მიღებული ავანსების ნაშთები 161 ათასი ლარის (2023 წლის 31 დეკემბერს: 18,914 ათასი ლარის ოდენობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და მიღებული ავანსები 44 ათასი ლარის ოდენობით) ოდენობით, უკავშირდება ფასს (IFRS) 15-ით აღიარებულ ამონაგებს.

7. დასაქმებულთა გასამრჯელოები

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და პრემიები	18,459	15,901
საპენსიო ფონდი	340	284
დასაქმებულ პირთა ჯანმრთელობის დაზღვევა	188	141
სხვა სარგებელი	1,585	1,139
	20,572	17,465

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
სოციალური მედიის ხარჯები	3,706	6,282
სხვა მარკეტინგული ხარჯები	1,723	933
	5,429	7,215

9. კონტენტის დანახარჯები

კონტენტის დანახარჯები მოიცავს ჯგუფის მიერ გაწეულ კონტენტის გადაცემის დანახარჯებს, მათ შორის ნებისმიერ მომსახურებას, რომელიც საჭიროა ტელეარხების, OTT პლატფორმისა და/ან სოციალური მედიის პლატფორმების კონტენტის დასამუშავებლად.

'000 ლარი	2024	2023
კონტენტის გადაცემის დანახარჯები	3,409	3,336
	3,409	3,336

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
IT ხარჯები	1,581	920
პროფესიული მომსახურების საფასურები	1,103	682
კოლოკაციის დანახარჯები	644	579
ვებგვერდის მომსახურების საფასურები	494	235
წარმომადგენლობითი ხარჯები	394	342
საოფისე ხარჯები	269	307
კომუნალური ხარჯები	157	144
საგადასახადო ხარჯები	138	203
საბანკო სერვისების ხარჯები	133	60
ტრანსპორტირების ხარჯები	124	136
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	49	172
საწვავის ხარჯები	13	12
რემონტის და ტექნომომსახურების ხარჯები	–	5
ლიცენზიის საფასური	40	–
სხვა ხარჯები	114	284
	5,253	4,081

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურებამ 101 ათასი ლარი (2023 წ.: 164 ათასი ლარი) შეადგინა.

11. ფინანსური დანახარჯები

'000 ლარი	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე (მე-19 შენიშვნა)	867	542
საპროცენტო ხარჯები გარანტიებზე	689	586
საპროცენტო ხარჯები იჯარებზე (მე-20 შენიშვნა)	452	484
	2,008	1,612

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ძირითადი საშუალებები

(ა) ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	ტელეკომუნი- კაცია და აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება					
2023 წლის 1 იანვარს	6,512	382	185	218	7,297
შემოსვლები	2,282	22	152	–	2,456
გასვლა/ჩამოწერა	(396)	(24)	(185)	–	(605)
2023 წლის 31 დეკემბერს	8,398	380	152	218	9,148
2024 წლის 1 იანვარს	8,398	380	152	218	9,148
შემოსვლები	307	116	–	–	423
გასვლა/ჩამოწერა	(115)	(15)	–	–	(130)
2024 წლის 31 დეკემბერს	8,590	482	152	218	9,442
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი					
2023 წლის 1 იანვარს	(1,713)	(179)	(17)	(66)	(1,975)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,624)	(97)	(17)	(44)	(1,782)
გასვლა/ჩამოწერა	9	16	27	–	52
2023 წლის 31 დეკემბერს	(3,328)	(260)	(7)	(110)	(3,705)
2024 წლის 1 იანვარს	(3,328)	(263)	(6)	(111)	(3,708)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,371)	(58)	(15)	(50)	(1,494)
გასვლა/ჩამოწერა	76	(2)	–	–	74
2024 წლის 31 დეკემბერს	(4,623)	(323)	(21)	(161)	(5,128)
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 1 იანვარს	4,799	203	168	152	5,322
2023 წლის 31 დეკემბერს	5,070	120	145	108	5,443
2024 წლის 31 დეკემბერს	3,967	159	131	57	4,314

13. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

პირვანდელი ღირებულება	შენობა–ნაგებობები
2023 წლის 1 იანვარს	9,833
2023 წლის 31 დეკემბერს	9,833
მოდიფიცირების ეფექტი	(5,232)
2024 წლის 31 დეკემბერს	4,601
დაგროვილი ცვეთა	
2023 წლის 1 იანვარს	(1,261)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,008)
2023 წლის 31 დეკემბერს	(2,269)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,008)
2024 წლის 31 დეკემბერს	(3,277)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	7,564
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,324

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	მაუწყებლობის უფლებები	სხვა	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2023 წლის 1 იანვარს	12,773	271	13,044
შემოსვლები	1,103	38	1,141
2023 წლის 31 დეკემბერს	13,876	309	14,185
2024 წლის 1 იანვარს	13,876	309	14,185
შემოსვლები	–	41	41
გაუფასურების აღდგენა	–	283	283
2024 წლის 31 დეკემბერს	13,876	633	14,509
<i>დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი</i>			
2023 წლის 1 იანვარს	(12,773)	(271)	(13,044)
წლის ამორტიზაცია	(617)	(38)	(655)
წლის გაუფასურების ზარალი	(486)	–	(486)
2023 წლის 31 დეკემბერს	(13,876)	(309)	(14,185)
2024 წლის 1 იანვარს	(13,876)	(309)	(14,185)
წლის ამორტიზაცია	–	(2)	(2)
2024 წლის 31 დეკემბერს	(13,876)	(311)	(14,187)
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2023 წლის 1 იანვარს	–	–	–
2023 წლის 31 დეკემბერს	–	–	–
2024 წლის 31 დეკემბერს	–	322	322

15. ლიცენზიებში გადახდილი ავანსი

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23
ლიცენზიებში გადახდილი ავანსები*	23,580	35,369
ლიცენზიებში გადახდილი მთლიანი ავანსები	23,580	35,369

* 2022 წელს ჯგუფმა „EBEL“-ს („Eurasian Broadcasting Enterprise Limited“) ავანსად გადაუხადა 58,949 ათასი ლარი

2023–2028 წლების სეზონების განმავლობაში ინგლისის პრემიერლიგის ლიცენზიაში, დამატებით უკრაინის ტერიტორიაზე გასავრცელებლად. ჯგუფმა ვერ შესძლო ლიცენზიის უკრაინის ტერიტორიაზე გავრცელება, შესაბამისად აღიარდა ლიცენზიებზე გადახდილი ავანსების ჩამოწრა 11,790 ათასი ლარის (2023 წ: 23,580 ათასი ლარი) ოდენობით 2025 წლის სეზონებისთვის. ჯგუფმა შეაფასა გადახდილი ავანსის დარჩენილი ნაშთის ამოღებადობა მიმდინარე გეოპოლიტიკურ პირობებსა და ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით. იმის გამო, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ლიცენზიის გავრცელება შეჩერებულია, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ლიცენზიის შემდგომი გამოყენება კვლავ შესაძლებელია ომის ხელსაყრელი პირობებით დასრულების და პოლიტიკური გარემოს შემდგომი სტაბილიზაციის შემთხვევაში. ამასთან, ხელმძღვანელობა აქტიურად იკვლევს ალტერნატიულ კომერციულ შესაძლებლობებს, მათ შორის უფლებების მესამე მხარეებზე გაყიდვის ან გადაცემის ჩათვლით. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ის შეძლებს ლიცენზიის გამოყენებას 2026–2027 და 2027–2028 წლების სეზონებისთვის.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	26,568	18,914
სხვა	295	252
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26,863	19,166
უიმედო ვალის რეზერვი	–	–
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	26,863	19,166

ჯგუფს სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს „EBEL“ მიმართ აქვს.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	244	161
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, უცხოურ ვალუტაში	517	191
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	761	352

18. საკუთარი კაპიტალი

(ა) გამოშვებული კაპიტალი

2024 წელს მშობელმა საწარმომ გაზარდა ჯგუფის გამოშვებული კაპიტალი 1,582 ათასი ლარის (2023 წ: 10,163 ათასი ლარი) ოდენობით ნაღდი ფულის შემოწირულობის გზით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის გამოშვებული კაპიტალი 104,697 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს: 103,115 ათასი ლარი; 2023 წლის 1 იანვარს: 92,952 ათასი ლარი) შეადგინა.

19. ნასესხები სახსრები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები იყო:

'000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარის სესხები	–	178
	–	178
'000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარის სესხები	185	–
ბანკის სესხები	10,867	5,314
	11,052	5,314

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ა) ვადები და სესხის დაფარვის გრაფიკი

მიმდინარე სესხების პირობები:

						2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
'000 ლარი	ვალუტა	2024 წლის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	2023 წლის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი 2024	დაფარვის წელი 2023	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები		6 თვე	6 თვე				
ადგილობრივი		ევრო–Libor +	ევრო–Libor +				
საფინანსო		6.5% წლიური	6.5% წლიური				
დაწესებულებებისგან	ევრო	მარჟა	მარჟა	2025	2024	2,651	2,693
ნასესხები სახსრები		6 თვე	6 თვე				
ადგილობრივი		ევრო–Libor +	ევრო–Libor +				
საფინანსო		6.5% წლიური	6.5% წლიური				
დაწესებულებებისგან	ევრო	მარჟა	მარჟა	2025		5,635	–
ნასესხები სახსრები		6 თვე ევრო–	6 თვე ევრო–				
ადგილობრივი		Euribor + 7.5%	Euribor + 7.5%				
საფინანსო		წლიური მარჟა	წლიური მარჟა	2024	2023	2,581	2,621
დაწესებულებებისგან *	ევრო						
დაკავშირებული							
მხარეებისგან ნასესხები							
სახსრები	აშშ დოლარი	0%	0%	2025	2023	185	178
სულ საპროცენტო							
სარგებლის მქონე							
ვალდებულებები						11,052	5,492

ბანკებისგან მიღებული სესხების მიზანია მაუწყებლობის ლიცენზიის დანახარჯების ფინანსირება.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ა) ვადები და სესხის დაფარვის გრაფიკი (გაგრძელება)

ბანკის უზრუნველყოფილი სესხები კრედიტის შემდეგ პირობებს ექვემდებარება:

- ▶ მთლიანი სასესხო ვალდებულება საოპერაციო მოგების 300%-ზე ნაკლები უნდა იყოს. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულება დარღვეული არ იყო.
- ▶ სესხის მომსახურების კოეფიციენტი 1,3-ზე მეტი უნდა იყოს. სესხის მომსახურების კოეფიციენტი ბანკის უზრუნველყოფილ სესხში დაანგარიშდება წლიური საპროცენტო ხარჯით და წლის ვალებსა და ნასესხებ სახსრებზე ძირითადი გადახდებით დაყოფილი საოპერაციო მოგება. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულება დარღვეული არ იყო.
- ▶ პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი 3-ზე მეტი უნდა იყოს. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი ბანკის უზრუნველყოფილ სესხში დაანგარიშდება ვალებსა და ნასესხებ სახსრებზე წლიური საპროცენტო ხარჯით დაყოფილი საოპერაციო მოგება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულება დარღვეული არ იყო.

ჯგუფი არ ასრულებს ვალდებულების ყველა მუხლს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ხელშეკრულების შესაბამისად. 2025 წლის 22 აგვისტოს ჯგუფმა ბანკისგან მიიღო უარის წერილი, რომლითაც ის უარს აცხადებდა ვალდებულების დარღვევის გამო სესხების გამოხმობის უფლებაზე. ბანკი დაეთანხმა ნასესხები სახსრების რესტრუქტურისა და დაფარვის ვადა 2030 წლამდე გაახანგრძლივა (26-ე შენიშვნა).

ჯგუფს არ აქვს არანაირი მინიშნება იმისა, რომ სესხების რესტრუქტურისა და დაფარვის ვადის შედეგად მას გაუჭირდება ამ ფინანსური შეთანხმებების დაცვა.

ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილია სხვა დაკავშირებული მხარე კომპანიების აქტივებით, რომლებიც ჯგუფთან ერთად უფრო დიდი ჯგუფის ნაწილს წარმოადგენენ.

(ბ) სესხებისა და ნასესხები სახსრების ცვლილების დინამიკის შეჯერება:

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	5,492	5,182
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	5,713	536
ნასესხები სახსრების დაფარვა	—	(348)
მთლიანი ცვლილება საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	11,205	5,370
სხვა ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი (მე-12 შენიშვნა)	867	542
გადახდილი პროცენტი	(835)	(543)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა)	(185)	123
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,052	5,492

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. საიჯარო ვალდებულება

მოდრაობა საიჯარო ვალდებულებებში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	7,414	8,104
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-12 შენიშვნა)	452	484
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი წილის გადახდა	(859)	(645)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი / (შემოსულობა)	290	(45)
იჯარის მოდიფიცირება	(5,437)	–
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო წილის გადახდა	(452)	(484)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,408	7,414

'000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	259	1,186
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,148	6,228
სულ საიჯარო ვალდებულებები:	1,407	7,414

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	4,624	7,157
სახელფასო ვალდებულებები	619	634
მიღებული ავანსები	161	44
სხვა ვალდებულებები	1,141	788
	6,545	8,623

22. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

ჯგუფმა შეიძინა შპს „მერკური ტექ ცენტრი“ (405631749) 2024 წლის 5 ნოემბერს, საწარმოთა გაერთიანების შედეგად.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება პროცენტის გათვლის მეთოდის პერსპექტიულად გამოყენებით, პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული გაერთიანების განხორციელებამდე. შეძენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება წინამორბედის საბალანსო ღირებულებებით. შპს „მერკური ტექ ცენტრის“ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეძენის თარიღის მდგომარეობით შემდეგი იყო:

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

აქტივები	'000 ლარი
ძირითადი საშუალებები	75
გაცემული სესხები	90
არამატერიალური აქტივები	40
სულ გრძელვადიანი აქტივები	205
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	202
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8
სულ მოკლევადიანი აქტივები	210
სულ აქტივები	415
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35
საგადასახადო ვალდებულებები	77
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	112
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები საბალანსო ღირებულებით	303
სხვაობა შვილობილი საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივებისა და შესაძენად გადახდილი საზღაურის საბალანსო ღირებულებას შორის	288
შესაძენად გადახდილი საზღაური	15

გადახდილი საზღაურის თანხამ 15 ათასი ლარი შეადგინა. სხვაობა ფულად საზღაურსა და შემენილ წმინდა აქტივებს შორის 288 ათასი ლარის ოდენობით საკუთარ კაპიტალში აღიარდა. შემენის თარიღიდან შპს

„მერკური ტექ ცენტრმა“ განახორციელა 280 ათასი ლარის ოდენობით ამონაგების და 276 ათასი ლარის კონტრიბუცია დაბეგვრამდე ზარალში, ჯგუფის განგრძობითი ოპერაციებიდან. თუ გაერთიანებას ადგილი ექნებოდა წლის დასაწყისში, ამონაგები განგრძობითი ოპერაციებიდან იქნებოდა 2,679 ათასი ლარი, ხოლო დაბეგვრამდე მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან ჯგუფისთვის 56 ათასი ლარი იქნებოდა.

23. პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლო დავები

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები ან სხვა დაუფარავი სასარჩელო მოთხოვნები, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ დაირიცხა ან არ გაცხადდა ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ბ) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

24. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უშუალო მშობელი საწარმოა შპს „ფი ეი ჰოლდინგი“ (2023 წლის 31 დეკემბრის: შპს „სითი ლოფტი“), ხოლო საბოლოო მაკონტროლებელია ფიზიკური პირი თეიმურაზ უგულავა.

2024 წლის 1 მარტს შპს „ფი ეი ჰოლდინგმა“ მიიღო კომპანიის სრული მფლობელობა, საბოლოო მფლობელის ცვლილების გარეშე.

(ბ) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯებში (მე-6 შენიშვნა).

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და პრემიები	3,495	3,074

(გ) დაკავშირებულ მხარეთა სხვა ოპერაციები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

'000 ლარი	31-დეკ-24		31-დეკ-23	
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	მშობელი საწარმო
ლიცენზიაში გადახდილი ავანსი	23,580	–	35,370	–
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25,049	–	17,673	–
ნასესხები სახსრები	185	–	–	178
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,113	–	6,394	–

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

'000 ლარი	2024		2023	
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	მშობელი საწარმო
საქონლის და მომსახურებების გაყიდვა	32,308	–	28,146	–
საქონლის და მომსახურებების შესყიდვა	3,005	–	2,897	849

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. მიმდინარე ან წინა წლებში ხარჯი არ აღიარებულა უიმედო ან საექვო სესხებისთვის, დაკავშირებული მხარეების მიერ ფლობილ თანხებთან მიმართებით.

მომსახურებების შესყიდვა მეტწილად წარმოადგენდა „EBEL“-ისთვის სარეკლამო და ტექნიკური მომსახურებების გაწევის ხარჯებს.

25. რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობისთვის სხვადასხვა რისკია დამახასიათებელი. ჯგუფის საქმიანობისთვის რისკებია დამახასიათებელი რომელთა მართვაც ხდება მიმდინარე იდენტიფიცირების, შეფასებისა და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესით, რისკის ლიმიტების და სხვა კონტროლების გათვალისწინებით. თითოეული ფიზიკური პირი ჯგუფში ანგარიშვალდებულია თავის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

(i) საკრედიტო რისკი

ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკები. ამ ტიპის რისკები წარმოიშობა იმის შესაძლებლობიდან, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს მეორე მხარის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, რაც ფინანსურ ზარალს წარმოშობს. საკრედიტო რისკი კომპანიის მიერ გადავადებული გადახდის პირობით პროდუქტების გაყიდვიდან, ასევე სხვა ოპერაციებიდან მომდინარეობს, რომლებიც ზრდიან ფინანსურ აქტივებს.

'000 ლარი	შენიშვნა	მთლიანი საბალანსო ღირებულება	წმინდა საბალანსო ღირებულება
2024 წლის 31 დეკემბერი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	26,568	26,568
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	761	761
გაცემული სესხი		90	90
'000 ლარი			
	შენიშვნა	მთლიანი საბალანსო ღირებულება	წმინდა საბალანსო ღირებულება
2023 წლის 31 დეკემბერი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	18,914	18,914
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	352	352

ჯგუფს აქვს სავაჭრო მოთხოვნების დაუფარა ნაშთი (2024 წლის 31 დეკემბერს: 25,049 ათასი ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერს: 17,673 ათასი ლარი) საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან, რომელთანაც ის აქტიურ სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს. ჯგუფი არ აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამ მოთხოვნებთან მიმართებით. არა დაკავშირებული მხარეებისგან სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვადაგადაცილებული არ არის. მოთხოვნები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ ვადაგადაცილებულია 12 თვემდე ვადით; თუმცა ჯგუფი განაგრძობს რეგულარულ სავაჭრო საქმიანობებს ამ დაკავშირებულ მხარეებთან და გადახდები მუდმივად ხორციელდება. ვადაგადაცილებული ნაშთი უკავშირდება უფრო დიდი ჯგუფის ნაღდი ფულის მართვის პრაქტიკებს, რომელიც როგორც ჯგუფზე, ისე საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე ვრცელდება.

ჯგუფის ნაღდი ფულის ანგარიშები მაღალი რეპუტაციის მქონე ორ ქართულ კომერციულ ბანკშია და მათი რეიტინგის (BB) გამო გაუფასურების რეზერვი არ შექმნილა.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკია. საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, რასაც იწვევს სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (საფასო რისკი) მერყეობა, იმის მიუხედავად ფასებში ასეთი ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული ინსტრუმენტებისთვის ან მისი ემიტენტისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით თუ ბაზარზე მიმოქცევაში არსებულ ყველა ინსტრუმენტზე მოქმედი ფაქტორით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე.

	31-დეკ-24	31-დეკ-23
	ევრო	ევრო
ნასესხები		
სახსრები	6 თვე ევრო-Libor + 6.5% წლიური მარჟა	6 თვე ევრო-Libor + 6.5% წლიური მარჟა
ნასესხები	6 თვე ევრო-Euribor + 7.5% წლიური	6 თვე ევრო-Euribor + 7.5% წლიური
სახსრები	მარჟა	მარჟა

ჯგუფის ნასესხებ სახსრებს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი აქვთ, რომელიც ევრო-Libor-ს უკავშირდება, შესაბამისად ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს.

100 საბაზისო პუნქტის ზრდა/(შემცირება) საპროცენტო განაკვეთის ცვლად კომპონენტში 2024 წელს განაპირობებდა ფინანსური დანახარჯების 109 ათასი ლარით (2023 წ.: 53 ათასი ლარით) ზრდას/(შემცირებას).

სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები ერთზე მეტ ვალუტაშია გამოხატული. ჯგუფს აქვს აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის სავალუტო რისკი ასეთი იყო:

'000 ლარი				
31-დეკ-24	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	244	490	27	761
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,993	24,575	–	26,568
გაცემული სესხი	91	–	–	91
სულ აქტივები	2,328	25,065	27	27,420
ვალდებულებები				
სესხები და ნასესხები				
სახსრები	–	185	10,867	11,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,312	313	2,759	6,384
საიჯარო ვალდებულება	–	1,407	–	1,407
სულ ვალდებულებები	3,312	1,905	13,626	18,843
წმინდა პოზიცია	(984)	23,160	(13,599)	8,577

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის ზრდა, %	15%	15%
ეფექტი მოგებაზე	3,474	-2,040
საპროცენტო განაკვეთის შემცირება, %	-15%	-15%
ეფექტი მოგებაზე	(3,474)	2,040

'000 ლარი

31-დეკ-23	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	161	184	7	352
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	992	17,922	-	18,914
სულ აქტივები	1,153	18,106	7	19,266
ვალდებულებები				
სესხები და ნასესხები სახსრები	-	178	5,314	5,492
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,280	453	5,846	8,579
საიჯარო ვალდებულება	-	7,414	-	7,414
სულ ვალდებულებები	2,280	8,045	11,160	21,485
წმინდა პოზიცია	(1,127)	10,061	(11,153)	(2,219)

საპროცენტო განაკვეთის ზრდა, %	15%	15%
ეფექტი მოგებაზე	1,509	-1,673
საპროცენტო განაკვეთის შემცირება, %	-15%	-15%
ეფექტი მოგებაზე	1,509	(1,673)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი თავისი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვას. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავის კაპიტალთან ერთად იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი საკრედიტო ნაკადების და ლიკვიდობის საჭიროებების ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფი მართავს თავისი აქტივების და ვალდებულებების დაფარვის ვადებს უკეთესი შესაბამისობისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდობის რისკის დამატებით შემსუბუქებაში. ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

'000 ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე					
12/31/2024	ვადით	1-3 თვე	3-5 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
სესხები და ნასესხები						
სახსრები	11,052	–	–	–	–	11,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებე ბი	8,797	–	–	–	–	8,797
საიჯარო ვალდებულებე ბი	–	66	44	1,297	–	1,407
ფინანსური გარანტიის ვალდებულება*	426,620	–	–	–	–	426,620
სულ:	446,469	66	44	1,297	–	447,876

'000 ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე					
12/31/2023	ვადით	1-3 თვე	3-5 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
სესხები და ნასესხები						
სახსრები	5,314	–	–	–	–	5,314
სავაჭრო და სხვა ვალდებულებე ბი	7,136	–	–	–	–	7,136
საიჯარო ვალდებულებე ბი	–	290	194	1,165	5,765	7,414
ფინანსური გარანტიის ვალდებულება*	281,946	–	–	–	–	281,946
სულ:	294,396	290	194	1,165	5,765	301,810

*ზემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, ჯგუფს აქვს ფინანსური გარანტიების მნიშვნელოვანი რაოდენობა, 1-წლამდე ვადით. ჯგუფი უფრო ფართო ჯგუფის ნაწილია, რომელიც იყენებს კომპანიის შიდა გარანტიებს უფრო ფართო ჯგუფის საქმიანობებისთვის დაფინანსების მხარდასაჭერად. უფრო ფართო ჯგუფის სხვა წევრებს ჯგუფთან შედარებით უფრო ძლიერი ბალანსი და ოპერაციების უფრო მაღალი მოცულობა აქვთ. ჯგუფის შეფასებით ჯგუფის სხვა წევრებზე შესაბამისი წილების გადანაწილების შემდეგ ამ გარანტიებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია. ჯგუფი არ მოელის ამ გარანტიებთან დაკავშირებულ გადინებებს.

შპს „აჭარა.ქომ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის შემდგომი პერიოდის განმავლობაში მშობელმა საწარმომ განახორციელა 4,975 ათასი ლარის ოდენობით ნაღდი ფულის კონტრიბუცია ჯგუფის ხელმოწერილ კაპიტალში.

2025 წლის 28 მაისს შპს „სეტანტა ლაბის“ 100%-იანი წილი შპს „სეტანტა ნეტმა“ შპს „აჭარა.ქომს“ გადასცა.

2025 წლის 28 მაისს შპს „მერკური ტექ ცენტრმა“ შეიცვალა სახელი და გახდა შპს „სეტანტა ტექ“.

2025 წლის 28 მაისს „სეტანტა ლაბმა“ შეიცვალა სახელი და გახდა შპს „სეტანტა ჰოლდინგი“.

2025 წლის 28 თებერვალს ჯგუფმა გააფორმა სესხის რესტრუქტურის ხელშეკრულება საფინანსო დაწესებულებასთან, რომლის შედეგადაც სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადა 2030 წლამდე გახანგრძლივდა. ამასთან, 2025 წლის 27 თებერვალს ჯგუფმა ახალი სესხი აიღო საფინანსო დაწესებულებისგან 2,828 ათასი ევრო ოდენობით. ჯგუფმა ნაწილობრივ დაფარა სესხი საფინანსო დაწესებულებისგან 1,086 ათასი ევროს ოდენობით.

ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „აჭარა.ქომ“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც 2019 წლის 31 ივლისს დარეგისტრირდა. კომპანიის შვილობილი კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N14 და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404582055.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სატელევიზიო გადაცემების შექმნა, სპეციალიზებული სპორტული აქტივობების მაუწყებლობა და სამაუწყებლო კომპანიებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა. ჯგუფი მაუწყებლობს სპორტულ ღონისძიებებსა და გადაცემებს, შემდეგი ვებგვერდების საშუალებით: www.adjara.com და www.setanta.ge და შემდეგი არხების საშუალებით: Setanta Sports 1, Setanta Sports 2 და Setanta Sports 3. მაუწყებლობა მოიცავს სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა საფეხბურთო ლიგები (ინგლისის პრემიერ ლიგა, გერმანიის ბუნდესლიგა და ა.შ.), ჩოგბურთის ტურნირები და „Ultimate Fighting Championships“ (UFC) და შოუები, რომლებსაც ჯგუფი იღებს მაუწყებლობის ლიცენზიებით სპორტული ღონისძიებებისა და ახალი ამბების პროვაიდერებისგან.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფი სრულად იყო ფლობილი შპს „ფი ეი ჰოლდინგ“-ის (მშობელი კომპანია) მიერ (საქართველოში, თბილისში რეგისტრირებული კომპანია)(2023 :შპს „სითი ლოფტი“), ხოლო მისი საბოლოო მფლობელი იყო ფიზიკური პირი თეიმურაზ უგულავა (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე).

ჯგუფმა ასევე დააარსა შპს „სეტანტა ნეტ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404744176) 2024 წლის 17 ოქტომბერს, რომელიც ფლობს 100%-იან წილს შპს „სეტანტა ზოუნში“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404747066) და შპს „სეტანტა ლაბში“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404747057).

ჯგუფმა 2024 წლის 5 ნოემბერს შეიძინა შპს „მერკური ტექ ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 405631749).

ჯგუფში შემავალი კომპანიების ჩამონათვალი, მფლობელობის შესახებ ინფორმაცია და მათი ძირითადი საქმიანობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

პირდაპირი შვილობილი კომპანია	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი 2024 წლის 31 დეკემბერს	საკუთრების წილი 2023 წლის 31 დეკემბერს	პირდაპირი მშობელი კომპანია
შპს "აჭარა.ქომ"	ჰოლდინგური საწარმო ტექნიკური, მარკეტინგული, სარეკლამო და სამაუწყებლო ქსელის მომწოდებელი	100%	100%	შპს ფი ეი ჰოლდინგი (2024), შპს სითი ლოფტი(2023)
შპს „Adjarasport.tv“	სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი და მომწოდებელი	100%	100%	შპს აჭარა.ქომ
შპს „სეტანტა ნეტ“*	არ აქვს აქტიური ოპერაციები	100%	0%	შპს აჭარა.ქომ
შპს „მერკური ტექ ცენტრი“**	ტექნიკური მომსახურება	100%	0%	შპს აჭარა.ქომ

* შპს „სეტანტა ნეტ“ ფლობს 100%-იან წილს შპს „სეტანტა ზოუნი“-ში (საიდ. კოდი: 404747066) და შპს „სეტანტა ლაბ“-ში (საიდ. კოდი: 404747057).

** ჯგუფმა შეიძინა შპს „მერკური ტექ ცენტრი“ (საიდ. კოდი: 405631749) 2024 წლის 5 ნოემბერს.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის განვითარების გეგმებში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთება:

- სატელევიზიო არხების გამომწერების რაოდენობის ზრდა, რასაც ჯგუფი სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობებით გეგმავს.
- 2021 წლიდან მოყოლებული ჯგუფი სხვადასხვა ტიპის მომსახურებას უწევს სამაუწყებლო და OTT პლატფორმის მექანე კომპანიებს. მომსახურებაში შედის:
 - ტექნიკური მომსახურება
 - მარკეტინგული მომსახურება
 - სპორტული სახის კონტენტის მაუწყებლობის კომენტირება

ჯგუფის განვითარების გეგმებში შედის ტექნიკური მომსახურების გასაწევად საჭირო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და წარმადობის ზრდა. გარდა ამისა, ჯგუფი მიზნად ისახავს მარკეტინგისა და კომენტირების მიმართულებაში მომუშავე თანამშრომლების რაოდენობის ზრდას და არსებული თანამშრომლების სისტემატურ ტრენინგს, რათა მუდმივად გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და გაზარდოს ჯგუფის წარმადობა. თანამშრომლების რაოდენობა 2024 წლის განმავლობაში იყო 317(2023:286).

ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები

წლისათვის (ლარში'000)	2024	2023
შემოსავალი	39,797	35,868
ოპერაციული აქტივობებიდან მიღებული ზარალი	(8,255)	(23,326)
წმინდა ზარალი	(9,976)	(25,109)
საოპერაციო საქმიანობით (გაცემული) / მიღებული ფულადი სახსრები	(5,510)	(5,807)

წლისათვის (ლარში'000)	2024	2023
ჯამური აქტივები	57,319	68,038
ჯამური ვალდებულებები	19,456	22,070
ჯამური კაპიტალი	37,863	45,969

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

ჯგუფი არ ანხორციელებს კვლევებს.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფი არ ფლობს ფილიალებს.

ჯგუფის რისკები და მათი მართვის მექანიზმები

საკრედიტო რისკი არის რისკი, როცა ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. ჯგუფი სატელევიზიო შემოსავლების ძირითად ნაწილს იღებს ისეთი კლიენტებისგან, რომლებიც თავიანთ სფეროში ბაზრის ლიდერებს წარმოადგენენ, შესაბამისად, ამ კუთხით საკრედიტო რისკი არარელევანტურია. ჯგუფი ტექნიკური, მარკეტინგული და კომენტირების მომსახურების ძირითად ნაწილს უწევს კლიენტს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დაკავშირებულ კომპანიას, რომლის გადახდისუნარიანობაზე ინფორმაცია ჯგუფის მენეჯმენტს სისტემატურად აქვს.

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც ჯგუფს ექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი სისტემატურად ამზადებს დეტალურ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს როგორც განვლილი პერიოდის ფაქტობრივ მონაცემებზე, ასევე სამომავლო პერიოდში მისაღებ და გასაცემ თანხებზე. მომზადებულ უწყისებზე დაყრდნობით, ჯგუფის მენეჯმენტს წინასწარ აქვს ინფორმაცია სამომავლო პერიოდის ფულადი ნაკადების სიჭარბისა თუ დეფიციტის შესახებ, რის მიხედვითაც იღებს გადაწყვეტილებებს.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფს არ გააჩნია საკუთარი აქციები.


დირექტორი

გიორგი ფრუიძე

29 სექტემბერი, 2025 წელი

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფს არ გააჩნია საკუთარი აქციები.



დირექტორი

გიორგი ფრუიძე

29 სექტემბერი, 2025 წელი